თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის სხდომის

ოქმი № 11

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 25 ნოემბერს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 24 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი
   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/
3. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა:
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის №11 სხდომის დღის წესრიგი:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი

   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

3. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს:თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე.ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2021-2022 სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის შესახებ ანკეტა-კითხვარი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის მიხედვით მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ეკონომიკა – 400 (ოთხასი) ადგილი;
- ბიზნესის ადმინისტრირება – 500 (ხუთასი) ადგილი;
- ეკონომიკა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა) – 150 (ასორმოცდაათი) ადგილი;
- ტურიზმი – 300 (სამასი) ადგილი.

აზრი გამოუთქვეს: პროფესორმა გ. ღაღანიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ე. ლეკაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის მიხედვით მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ეკონომიკა – 400(ოთხასი) ადგილი;
- ბიზნესის ადმინისტრირება – 500 (ხუთასი) ადგილი;
- ეკონომიკა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა) – 150 (ასორმოცდაათი) ადგილი;
- ტურიზმი – 300 (სამასი) ადგილი.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. ნათია შარაბიძე - „ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

2. მედეა შაფათავა - „რეტროეკონომიკის დაძლევის ძირითადი მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“

მეცნიერ-ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

3. მიხეილ მუმლაძე- ,, შრომის მწარმოებლურობასა და საშუალო ხელფასს შორის თანაფარდობის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)“

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

4. მერაბ ლომინაძე- ,,პრივატიზაცია და კერძო მეწარმეობის განვითარება საქართველოში“

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი

5. მარიამ ტყაბლაძე- „გლობალურ გარემოში მომსახურების მენეჯმენტში არსებული გამოწვევები და მათი სრულყოფის გზები”
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. ნათია შარაბიძე - „ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
2. მედეა შაფათავა - „რეტროეკონომიკის დაძლევის ძირითადი მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
3. მიხეილ მუმლაძე- ,, შრომის მწარმოებლურობასა და საშუალო ხელფასს შორის თანაფარდობის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
4. მერაბ ლომინაძე- ,,პრივატიზაცია და კერძო მეწარმეობის განვითარება საქართველოში“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
5. მარიამ ტყაბლაძე- „გლობალურ გარემოში მომსახურების მენეჯმენტში არსებული გამოწვევებიდა მათი სრულყოფის გზები”
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

მოისმინეს: სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ნინო მელითაურის სადისერტაციო თემის ცვლილების საკითხი, კერძოდ, ,,წონასწორობა კონკურენტულ ეკონომიკაში საზოგადოებრივი საქონლის და ექსტერნალიების გათვალისწინებით” შეიცვალოს: ,,საერთაშორისო ვაჭრობა მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიულ და ემპირიულ მოდელებში (საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის მაგალითზე)”

მეცნიერ-ხელმძღვანელი - პროფესორი იური ანანიაშვილი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ნინო მელითაურის სადისერტაციო თემის ცვლილების საკითხი, კერძოდ, ,,წონასწორობა კონკურენტულ ეკონომიკაში საზოგადოებრივი საქონლის და ექსტერნალიების გათვალისწინებით" შეიცვალოს: ,,საერთაშორისო ვაჭრობა მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიულ და ემპირიულ მოდელებში (საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის მაგალითზე)"

მეცნიერ-ხელმძღვანელი - პროფესორი იური ანანიაშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი — გ. ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი — მ. მაისურაძე